საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-290

ქ. თბილისი

12/03/2021

მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „რეფილ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „რეფილ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია მესტიის მუნიციპალიტეტში ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მესტიის მუნიციპალიტეტში, ფიზიკურ პირზე რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 42.06.39.040), რომელიც იჯარის ხელშეკრულებით დროებით სარგებლობაში გადაეცემა შპს „რეფილ პეტროლიუმ ჯორჯიას“. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 30 მეტრში. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 50 მეტრში მდებარეობს დაბა მესტიის N1 საჯარო სკოლა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა სამი მიწისქვეშა რეზერვუარი, აქედან ორი (საერთო ჯამში 43 ტ) გათვალისწინებული იქნება ბენზინისთვის, ხოლო ერთი (27 ტ) - დიზელის საწვავისთვის. საწვავის მიღება განხორციელდება ავტოცისტერნების საშუალებით და ჩაისხმება მიწისქვეშა რეზერვუარებში, საიდანაც მიეწოდება ჩამოსასხმელ სვეტს. პროექტის მიხედვით დაგეგმილია ერთი გასაცემი სვეტის მოწყობა, ექვსი ჩამოსასხმელით.

რეზერვუარები აღჭურვილი იქნება სასუნთქი სარქველებით. კომპანიას დაგეგმილი აქვს წლიურად 1000 ტ ბენზინის და 800 ტ დიზელის საწვავის რეალიზაცია. ავტოგასამართი სადგური იმუშავებს წელიწადში 365 დღე 24 საათი, სადაც დასაქმებული იქნება 6 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ტერიტორიაზე განთავსდება ოფისი, საოპერატორო შენობა და კომერციული ფართი. ავტოტრანსპორტის სამოძრაოდ განკუთვნილი ტერიტორია იქნება მობეტონებული.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა გაფრქვევაც მოსალოდნელია ავტოცისტერნებიდან რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების მიღებისა და გაცემისას. აღსანიშნავია, რომ ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წარმოქმნილი გაფრქვევები ძირითადად მცირე მოცულობისაა. ამასთან ბენზინის და დიზელის შესანახი რეზერვუარები განთავსებულია

მიწისქვეშ, რაც ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა. შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკებს. ასევე, ზღუდავს გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების საფრთხეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაფრქვევები ლოკალიზებულია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და იშვიათად სცილდება სადგურის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან გამომდინარე არ იგეგმება ხმაურის მაღალი დონის გამომწვევი დანადგარის გამოყენება, შესაბამისად ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომელთა შეგროვება მოხდება სეპარირებულად, კონტეინერული სისტემით. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება სახიფათო ნარჩენებს, საწვავის გასაცემი მოედნიდან ავარიულად დაღვრილი საწვავი და მოედნის ნარეცხი წყლები არხის საშუალებით ჩაედინება სალექარში, საიდანაც ამოღებული შლამი და ნავთობპროდუქტები დასაწყობდება ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე, შემდგომ გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას. სალექარიდან მექანიკურად გაწმენდილი წყალი გადავა საავტომობილო გზის გასწვრივ არსებულ სანიაღვრე არხში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის წყალმომარაგება მოხდება დაბა მესტიის წყალმომარაგების სისტემიდან. ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება მოხდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გამავალ ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში. შესაბამისად, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

საქმიანობა არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საკვლევი ტეროტორიის მიმდებარედ არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეები, მათ შორის წითელი ნუსხით დაცული სახეობები. საპროექტო ობიექტი არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს.

მიწის სამუშაოების შესრულების ეტაპზე არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გამოვლინების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ეცნობება შესაბამის სამსახურს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგური აღჭურვილი იქნება სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ხანძრის პრევენციას, ასევე მის უსაფრთხოებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან მის უშუალო სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ობიექტი არ მდებარეობს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილ იქნა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების მიზნით. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ

საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

საქმიანობის სპეციფიკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობა და ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6,3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნას სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „რეფილ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) მშენებლობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „რეფილ პეტროლიუმ ჯორჯია“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „რეფილ პეტროლიუმ ჯორჯიას“
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „რეფილ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მესტიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი